პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.(ბ) ც. კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП(б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (9400) | ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენი მრეწველობა იზრდება, ვითარდება და სულ უფრო მძლავრი და ტექნიკურად სრულყოფილი ხდება. ჩვენ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვავითარებთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საწარმოო ძალებს, როგორც ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

6 ოქტომბრის საღამოს სხდომა

★ ★

ყრილობის საღამოს სხდომა იხსნება ამხ. **დ. ს. კოროტჩენკოს** თავმჯდომარეობით. გრძელდება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

ისევე, როგორც დილის სხდომაზე, ამათის ყველა მონაწილე ერთსულოვნად იწონებს ცენტრალური კომიტეტის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას. დარბაზში კვლავ და კვლავ გაისმის მქუხარე ტაში, როცა დელეგატები ყრილობის ტრიბუნიდან ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დიდი სტალინის წინამძღოლობით პარტიამ საბჭოთა ხალხი გამოატარა ყველა ქარიშხალში და მიიყვანა ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებამდე, რომ პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

დელეგატების გამოსვლები წარმოადგენს პარტიის ურღვევი ერთიანობის, ცენტრალური კომიტეტის გარშემო, უკვდავი ლენინის საქმის განმგრძობის — დიდი სტალინის გარშემო მისი მჭიდროდ დარაზმულობის ჭეშმარიტად დაუვიწყარ დემონსტრაციას.

დელეგატები დიდი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ ახალ წვლილზე მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში — ამხანაგ სტალინის შრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოსვლაზე, რომელიც მეცნიერების ბრწყინვალე შუქს ჰფენს ჩვენს გზას კომუნიზმისაკენ.

ამხ. **კალნბერზინი** (ლატვიის სსრ) თავის გამოსვლაში აღნიშნავს, რომ ამხანაგმა მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მკაფიოდ და ნათლად შეაჯამა იმ გამარჯვებათა და მონაპოვართა შედეგები, რომლებსაც განვლილ პერიოდში საბჭოთა ხალხმა მიაღწია სახელოვანი კომუნისტური პარტიის, მისი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ხალხთა ძმურ ოჯახში დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ლატვიის ხალხმაც კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში. რესპუბლიკის მრეწველობამ ერთისამად გადააჭარბა ომამდელ დონეს, ამასთან წამყვანი დარგები გახდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, რომლებიც ომამდელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა. ლატვიის გლეხობა საბოლოოდ დაადგა საკოლმეურნეო გზას; სახელმწიფომ პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვა სოფლის მეურნეობა.

— დიდი რუსი ხალხი ლატვიის შრომელებს დაეხმარა, — აბმბობს ამხ. კალნბერზინი, — თავისუფლების მოპოვებაში. მომძმე საბჭოთა ხალხების მთელი ოჯახი ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ლატვიელ ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დასასრულ იგი აცხადებს, რომ ლატვიის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იქნება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთიანი და თავდადებული რაზმი, რომელიც მზად არის შეასრულოს მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მსოფლიოს ვერც ერთი სახელმწიფო, ამბობს დელეგატი **გრიშინი** (სტალინგრადი), ვერ გაუძლებდა ისეთ ძნელ გამოცდას, როგორიც იყო განვლილი ომი. ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ღირსეულად გაართვა თავი ამ გამოცდას და მოკლე ვადაში მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ განვითარებას. ეს წარმატებანი მთელი ძალით ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების უპირატესობებს კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

ორატორი ყრილობას უამბობს უდიდეს მუშაობაზე სტალინგრადის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, ომამდელ დონესთან შედარებით ტრაქტორების, ფოლადის, ნაგლინის, გემების გამოშვების გადიდებაზე.

ამხ. გრიშინი თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს უძღვნის ბუნების გარდაქმნის გიგანტურ სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს. ასრულდა ხალხის საუკუნეობრივი ოცნება ვოლგისა და დონის შეერთების შესახებ. გაჩაღდა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარე არხის მშენებლობა. ამხ. გრიშინი გამოთქვამს აზრს, რომ არ წარმოებს საკმაო მოსამზადებელი მუშაობა იმ უდიდეს ეკონომიკურ შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის, რომლებსაც კომუნიზმის მშენებლობანი ქმნიან. მას მიაჩნია, რომ სამინისტროებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წინასწარ უნდა იზრუნონ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკონომიკის განვითარების ყოველმხრივი კომპლექსური გეგმის შედგენისათვის.

ამხ. **ეფიმოვმა** (ხაბაროვსკის მხარე) ილაპარაკა იმ უდიდეს მუშაობაზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, რაც ამ მხარეში გაწეულია პარტიის XVIII ყრილობიდან XIX ყრილობამდე. აქ აიგო და ამუშავდა ათობით სამრეწველო საწარმო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები. მხარის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია ერთიორად და მეტად გადიდდა. ხაბაროვსკის მშრომელნი უსაფუძვლოდ როდი უწოდებენ თავიანთ მხარეს გიგანტურ სტალინურ ახალშენებას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გადიდდა სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

ამხ. ეფიმოვმა აღნიშნა, რომ შავი მეტალურგიის, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა და სატყეო მრეწველობის სამინისტროები საკმაო დახმარებას არ უწევენ მხარეს სამრეწველო განვითარების საქმეში.

— შორეული აღმოსავლეთის კომუნისტებსა და ყველა მშრომელს მუდამ ახსოვთ, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს შორეული აღმოსავლეთის საზღვრების მეზობლად არიან ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებსაც სწყურიათ მსოფლიო ბატონობა და ამ მიზნით ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომის ხანძარი, — ამბობს ამხ. ეფიმოვი. შორეული აღმოსავლეთის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავიანთი თავდადებული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ ყოველდღიურად ზრდიან საბჭოთა სახელმწიფოს ურყევ ძლიერებას.

ამხ. **მგელაძე** (საქართველოს სსრ), ლაპარაკობს რა საბჭოთა კავშირში გაჩაღებულ გრანდიოზულ მშენებლობაზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკასაც, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი გიგანტური ნაგებობანი, როგორიც არის კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი, მხოლოდ საბჭოთა წყობილებას ძალუძს გააკეთოს ის, რაზეც მრავალი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა კაცობრიობა.

პარტიის XVIII ყრილობის შემდგომი წლები იყო პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა წლები. კიდევ უფრო განმტკიცდა, შედუღაბდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

საბჭოთა საქართველო, რომელიც წარსულში მეფის ერთ-ერთი დამონებული კოლონია იყო, ახლა მეტალურგიისა და საავტომობილო მრეწველობის ქვეყნად გადაიქცა. მარგანეცს, ფოლადს, ნაგლინს, ქვანახშირს, ჩარხებს, მანქანებს, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს, საშენ მასალებს აძლევს საქართველო საბჭოთა კავშირს. ამჟამად საქართველო ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელსაც აქვს აგრეთვე დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა. უახლოეს წლებში საქართველო საბჭოთა ადამიანებს უხვად მისცემს გემრიელ, სურნელოვან, ვიტამინებით მდიდარ მეტ ხილს. 1957 წელს საქართველომ საბოლოოდ უნდა გადაჭრას მარცვლეულის პრობლემა და უზრუნველყოს თავისი თავი საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

ამხ. მგელაძე აყენებს იმ საკითხს, რომ საჭიროა ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა, ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ განვითარება. მას საჭიროდ მიაჩნია რესპუბლიკაში მოეწყოს სასუქების მოპოვება, გადიდდეს მისი ენერგეტიკული ბაზა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. მგელაძე ლაპარაკობს საქართველოს პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებზე, რომლებიც აღნიშნულ იქნა საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე, და იმ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

ამხ. **ფადეევი** (მოსკოვი) თავის გამოსვლას მიუძღვნის საბჭოთა ლიტერატურას.

— პარტიამ ჩვენს ლიტერატურას შთააგონა საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეები, კომუნიზმის დიადი იდეები, — ამბობს იგი,—ხელოვნების ყურადღების ცენტრში დააყენა ახალი საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანი.

ამხ. ფადეევი აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურის იდეური და მხატვრული ზრდისათვის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ცნობილ დადგენილებებს იდეოლოგიურ საკითხებზე. პარტიის ხელმძღვანელი მითითებები დაგვეხმარა გამანადგურებელი ლახვარი ჩაგვეცა უთვისტომო კოსმოპოლიტიზმისა და თანამედროვე ბურჟუაზიული ცრუკულტურის წინაშე ქედის მოხრის გამოვლინებისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ინტელიგენციის ერთ ნაწილში. ამ მითითებებმა საშუალება მოგვცა ლახვარი ჩაგვეცა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სხვადასხვა გამოვლინებისათვის, ცხოვრების ზედაპირზე უიდეო ხოხვის გამოვლინებისათვის.

ამხ. ფადეევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უაღრესად სწორია ამხ. მალენკოვის მითითება, მოცემული საანგარიშო მოხსენებაში, რომ ახლის, მოწინავის ჩვენებაში საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის უშიშრად და გულმართლად როდი ამხილებს ჩვენი წინსვლის წინააღმდეგობებსა და სიძნელეებს. მაგალითად, დრამატურგიაში მწერალთა ერთ ნაწილში გავრცელებული იყო ყალბი თეორია, რომ საბჭოთა დრამა უკონფლიქტო უნდა იყოს. საჭირო გახდა ამხანაგ სტალინის ჩარევა, რომ ეს „თეორია“ მხილებული ყოფილიყო. მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ მალენკოვის მოხსენებაში განვითარებულ დებულებას ჩვენი სინამდვილის ტიპიური მოვლენებისა და ხასიათების შესახებ. მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხ. ფადეევი თავის გამოსვლას ამთავრებს სიტყვებით:

— ჩვენ მადლობას ვუძღვნით ამხანაგ სტალინს დახმარებისა და სწავლებისათვის და პირობას ვაძლევთ, რომ მთელ ჩვენს ძალას მოვახმართ ახალი კომუნისტური სამყაროს ლიტერატურის შექმნას, ლიტერატურისა, რომელიც შუქურა იქნება ჩვენი თავისუფალი ხალხებისათვის და მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ამხ. **ანდრიანოვმა** (ლენინგრადი) აღნიშნა, რომ ამხ. მალენკოვის მოხსენებაში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ სტალინის მოძღვრებამ სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების შესახებ სსრ კავშირში. დიდი ბელადის ეს კლასიკური შრომა უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიის იდეურ ცხოვრებაში. იგი პარტიას, საბჭოთა ხალხს აიარაღებს კომუნიზმისათვის ბრძოლის მძლავრი საშუალებით.

ლენინგრადის ორგანიზაციაში, — განაგრძობს ორატორი, — გაწეულია დიდი მუშაობა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების განსამტკიცებლად მომზადებული და პარტიისადმი ერთგული კადრებით. დელეგატების ტაშის გრიალში ამხ. ანდრიანოვი აცხადებს, რომ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც მთელი პარტია, XIX ყრილობაზე მოვიდა ერთიანი და ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

იგი ამბობს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ მთელი იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის სამოქმედო პროგრამად გადაიქცა.

შემდეგ ორატორი შეეხო ლენინგრადის მრეწველობის მუშაობას. ლენინგრადი ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ცენტრი ხდება. ქალაქის საწარმოებმა აითვისეს და შექმნეს ასობით ახალი ტიპის სრულყოფილი მანქანები, ჩარხები, ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც საბჭოთა და მსოფლიო ტექნიკის უდიდეს მიღწევას წარმოადგენენ.

თავის გამოსვლაში ამხ. **შაიახმეტოვი** (იაკუტიის სსრ) ლაპარაკობს იმაზე, თუ რა გზა განვლო იაკუტმა ხალხმა მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად პარტიის მეთვრამეტე ყრილობიდან მეცხრამეტე ყრილობამდე. ამხ. შაიახმეტოვს მოჰყავს მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ რესპუბლიკის განუხრელ განვითარებას. ამ ხნის განმავლობაში 24 პროცენტით გადიდდა იაკუტიის სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, იმატა ქვანახშირის, ნავთობის, ლითონის მოპოვებამ, ელექტროენერგიის გამომუშავებამ. კიდევ უფრო განვითარდა სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვნად გადიდდა სკოლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. ეს ფაქტები, ამბობს ამხ. შაიახმეტოვი, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის სისწორესა და სიცოცხლისუნარიანობას.

ეხება რა ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაჭრან იაკუტიის მშრომელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, ორატორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. იგი სერიოზულად აკრიტიკებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც, მისი აზრით, არასწორი პოზიცია უკავია მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხში. სამინისტროს მიერ დასახული გეგმები, არსებითად, აფერხებენ სწორი თესლბრუნვის შემოღებასა და ათვისებას. სამინისტრო რესპუბლიკას დახმარებას არ უწევს აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებაში, როგორიც არის სათიბების ხელოვნური მორწყვა. ამხ. შაიახმეტოვი აკრიტიკებს აგრეთვე სსრ კავშირის მიბამბეობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროებს.

ამხ. **ბრეჟნევმა** (მოლდავეთის სსრ), ისევე როგორც გუშინ ყრილობაზე გამოსულმა ბეკრმა დელეგატმა, განსაკუთრებით აღნიშნა კომუნისტური პარტიის შთამაგონებელი და მაორგანიზებელი როლი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით დაგვიგრავინეს საბჭოთა ხალხის ბუმბერაზული ბრძოლა ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობა, ამბობს ამხ. ბრეჟნევი, კომუნიზმის გიგანტური მშენებლობანი, ბუნების დიადი გარდაქმნა, ხალხის დაუცხრომელი ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის — ყოველივე ეს მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის ცხადყოფს, თუ რა ერთგულად და სამართლით ემსახურება ჩვენი სახელოვანი პარტია თავის ხალხს და რა თავდადებით იბრძვის ყველა მშრომელის ბედნიერებისათვის.

ლენინ-სტალინის დროშით ბოლშევიკურმა პარტიამ, — ამბობს დასასრულ ორატორი, — დიდების შარავანდედით შემოსა ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მშვიდობისა და სოციალიზმის მიუვალ სიმაგრედ და მძლავრ ბურჯად გახადა იგი.

ამხ. **მურატოვმა** (თათრეთის ასსრ) დახატა თათრეთის სახალხო მეურნეობის აყვავების მკაფიო სურათი. რესპუბლიკაში ვითარდება ნავთობის მრეწველობა. ორატორმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მეორე ბაქოს შექმნაზე. დიდი ბელადის ეს წინასწარხედვა განხორციელდა. მიწის წიაღში არსებული ნავთობის მარაგი ახლა კომუნიზმის მშენებლობას ემსახურება.

ნავთობის ამოღების შემდგომი გადიდების ყველა ღონისძიების განხორციელება თათრეთის პარტიულ ორგანიზაციას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მურატოვმა აღნიშნა უდიდესი მნიშვნელობა ამხანაგ სტალინის ახალი შრომისა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და გაანაცხადა:

— ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე ჩვენი პარტია წარმატებებს აღწევდა იმიტომ, რომ იგი ყველგან და ყველაფერში განუხრელად ასრულებდა თავისი დიდი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებს და სავსებით უეჭველია, რომ ახალი იდეური იარაღით აღჭურვილი პარტია სასახელოდ შეასრულებს ახალ ხუთწლიან გეგმას.

* * *

ყრილობის შემდეგი სხდომა გაიმართა 7 ოქტომბერს. (საკდესი).

საქართველოს მშრომელები უდიდესი ყურადღებით ეცნობიან XIX ყრილობის მასალებს

ბ ე ღ ა დ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი

უჩვეულო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა რკინიგზის ყოფილ მთავარ სახელოსნოებში. ცხრაასიან წლებში ახალგაზრდა სტალინმა აქ მიიღო საბრძოლო-რევოლუციური ნათლობა, აქ ჩამოაყალიბა მუშათა პირველი მარქსისტული წრეები, აქ აღმართა მშრომელთა განთავისუფლების, ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლის დიადი ბოლშევიკური დროშა.

და ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე ხაზზე დგას. ქარხნის უხუცესი მუშები, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გადაიტანეს ძველი დუხჭირი ცხოვრების სიმძიმე, უუფლებობა, დამცირება და აბუჩად აგდება, ახლა, პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებში, მწარე წარსულს იგონებენ და გულში ვეღარ იტევენ მადლობის გრძნობას კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინისადმი, ვინც მილიონობით ადამიანს შეუქმნა ბედნიერი აწმყო და წარმტაცი მომავალი.

ორთქლმავლის ამწყობ საამქროში აგიტატორმა იოსებ მაჩაიძემ 7 ოქტომბერს მუშებს გააცნო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობისადმი. მოხსენებაში დასახულმა დიადმა პერსპექტივებმა აღაფრთოვანა სტახანოველი ზინკალი ვალერიან ბურჭულაძე, რომელმაც მაზნებარე სიტყვით მიმართა თანამოსაქმეებს:

— მამაჩემი მექვაბე იყო, — თქვა მან, — წელზე ფეხს იდგამდა, მაგრამ ოჯახის გამოსაკვებ სარჩოს ვერ შოულობდა. მაშინ ოჯახის ყველა წევრი ვმუშაობდით და მაინც მშივრები ვიყავით. არ გვქონდა ბინა, არ გვქონდა ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობები. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გავიხარეთ მშრომელებმა. შრომას ფასი დაედო, იგი ღირსების, სახელის საქმე, შეძლებული ცხოვრების წყარო გახდა. ახლა ბედნიერი კაცი ვარ, შეძლებულად ვცხოვრობ. სამი შვილი მყავს. ერთმა უმაღლესი დაამთავრა, მეორე ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობს, მესამე — საშუალო სკოლაშია. სად, რომელ ქვეყანაში შეეძლო მუშას ასეთ სიმაღლეზე ასულიყო? მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაშია შექმნილი მშრომელებისათვის ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების პირობები. და ამას ჩვენ ვუმადლით კომუნისტურ პარტიას, მშობლიურ ამხანაგ სტალინს.

ასეთივე მგზნებარე, კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გამომხატველი სიტყვები წარმოთქვეს ყრილობის მასალების გაცნობისას სახარატო-მექანიკურ საამქროში ხარატმა ნიკოლოზ ჩოჩელმა, ლითონის ჩამტეხმა მიხეილ სიჭინავამ, უპარტიო ხარატმა კონსტანტინე ვასილიევმა.

ყრილობის მასალების გაცნობა ქარხნის მუშებს ენერგიას უორკეცებს. თავდადებული, ბეჯითი შრომით გამოხატავენ ისინი ლენინ-სტალინის პარტიისადმი თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას, მზადყოფნას — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით მტკიცე ნაბიჯით იარონ წინ, კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

ყრილობის გახსნის აღსანიშნავად ორთქლმავლის ამწყობი საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც ტ. ასლამაზოვი ხელმძღვანელობს, სტახანოვურ ვახტზე ადგა და 6 ოქტომბერს ორთქლმავალ № 722/19-ის ყველა საკისარი და თრევი შეაკეთა, რითაც დაზოგა 250 პროცენტით გაანაღდა. ამავე დღეს რვილის შემკეთებელთა ბრიგადამ ნ. მაისურაძის ხელმძღვანელობით 8 საათის სამუშაო 3 საათში შეასრულა.

ხახარატო-მექანიკურ საამქროში ხუთი მოწინავე მუშა: მრავალდაზგოსანი ხარატი ს. ზარიძე, ჩქაროსანი ხარატი ნ. გავრიკოვი, ლითონის ჩამტეხი მ. სიჭინავა, მრანდავი ს. ნათენაძე და ხარატი კ. ვასილიევი 6 ოქტომბერს ყრილობის გახსნის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და დღიური ნორმა 200-300 პროცენტით შეასრულეს.

ახლა, ყრილობის მასალების გაცნობისას დედაქალაქის უძველესი ქარხნის მუშები ახალი გადიდებული ვალდებულების აღებით გამოხატავენ თავიანთ სიხარულს და ბოლშევიკური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

მ ო ზ ო ლ ი უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა ღ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა ყრილობის მოწვევამდე ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება, იკისრა გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი და ყრილობის გახსნის დღისათვის—5 ოქტომბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა ისინი. ახლა, როცა მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ყრილობა მუშაობას შეუდგა, ფაბრიკის კოლექტივის თვითეული წევრი, პარტიული თუ უპარტიო, დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს მას, ყურადღებით ეცნობა გაზეთებში გამოქვეყნებულ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებას და ყრილობის სხვა მასალებს.

ფაბრიკის საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში აგიტატორები და წამკითხველები ფართოდ აცნობენ მუშებს ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებასა და ყრილობის მასალებს. აგიტატორმა ამხ. ლ. გაწერელიამ სათელავი განყოფილების მუშებს გააცნო ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა, რომელიც მან ყრილობის გახსნისას წარმოთქვა, და ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენების პირველი თავი. სათელავი განყოფილების ქვეოსტატმა ამხ. გ. ზაქარეიშვილმა საუბრის შემდეგ თქვა: XIX ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა ხალხის, ლენინ-სტალინის პარტიის ცხოვრებაში. ყრილობა დასახავს კომუნიზმის მშენებლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გრანდიოზულ გეგმებს. მშობლიური ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად წარმატებით გავანაღდე ნაკისრი ვალდებულებანი, ყრილობის გახსნის დღეს შეასრულე წლიური გეგმა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში ვმუშაობ. ყრილობის აღსანიშნავად ვკისრულობ ოქტომბრის გამომუშავების ნორმა 120 პროცენტით გავანაღდო და 99 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქცია გამოვუშვა.

— დიდი ბედნიერებაა მუშაობდე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით,—თქვა მთელავმა გ. ბეგაშვილმა, — იმ პარტიისა, რომელიც შექმნეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა და რომლის მთელი მოღვაწეობა წარმოადგენს მშრომელთა კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახურის ბრწყინვალე ზაგალითს. აი ამიტომ არის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი სიხარულით და ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდა პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დაწყებას. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის პასუხად პირობას ვდებ ოქტომბრის გამომუშავების ნორმა 110 პროცენტით გავანაღდო და გამოვუშვა მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქცია.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა, სათელავი განყოფილების ქვეოსტატმა ა. ტატანაშვილმა, ხამი ქსოვილის მრეცხავმა დ. კობახიძემ, მთელავმა გ. მამალაძემ და სხვებმა.

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თამბაქოს აღების წლიური გეგმა

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად, ვადამდე — 5 ოქტომბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს აღების წლიური გეგმა.

თამბაქოს აღება გრძელდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება*

სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას. პარტია მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა შეჯიბრების მოწყობის საქმეს და მიაჩნდა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარია გამოვასწოროთ ჩამორჩენილნი, რათა ისინი მუშაობაში დაეწიონ უკეთესებს. ჩვენი საზოგადოების პირობებში სოციალისტური მშენებლობის თვითეულ უბანზე უდიდეს როლს ასრულებს დადებითი მაგალითი მუშაობაში. საბჭოთა ადამიანები საკუთარი გამოცდილებით ყოველდღიურად რწმუნდებიან, რომ წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო მაგალითი, ახალი ტექნიკის, ყოველგვარი გაუმჯობესებისა და გამოგონების დანერგვა აუცილებლად იწვევს შრომის შემსუბუქებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მრავალი მაგალითი გვაქვს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა, რომლის მიზანია უზრუნველყოს სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და გაუმჯობესება. ჩვენი ხალხი ძველთაგანვე განთქმულია თავისი შემოქმედებითი ინიციატივით, საზრიანობით, გამომგონებლობით.

სოციალიზმის მტრები და მათი ყველა ჯურის დამქაშები სოციალიზმს სახავენ, როგორც ინდივიდუალობის ჩახშობის სისტემას. ასეთ წარმოდგენაზე უფრო პრიმიტიული და ვულგარული არა არის რა. დამტკიცებულია, რომ სოციალისტურმა სისტემამ უზრუნველყო პიროვნების განთავისუფლება, ინდივიდუალური და კოლექტიური შემოქმედების გაფურჩქვნა, შექმნა პირობები ხალხის მასების წიაღში არსებული ტალანტებისა და ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში პატიოსან შრომას დიდად აფასებენ და ყოველნაირად ახალისებენ. პარტია და მთავრობა ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მიღწევებისა და წარმატებით მუშაობისათვის მშრომელთა პრემირებისა და დაჯილდოების სისტემას. მარტო იმ ხნის განმავლობაში, რაც სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გავიდა, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 1 მილიონ 346 ათასი მუშა, კოლმეურნე, მეცნიერი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, მოსამსახურე, ექიმი, მასწავლებელი და სხვა მუშაკები, ხოლო ჩვენი ქვეყნის 6.480 მუშაკის თვალსაჩინო ნოვატორული მოღვაწეობა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭებით აღინიშნა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, მთელი ძალებით დაუჭირონ მხარი მუშაობის დადებითს მაგალითებს და მოწინავეთა და ნოვატორთა პროგრესულ თაობასობას, ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება მშრომელთა მთელ მასაში, რათა დაეხმარონ ჩამორჩენილთ ავიდნენ მოწინავეთა დონემდე. ახლის ბრძოლაში ძველის წინააღმდეგ, მოწინავის ბრძოლაში ჩამორჩენილის წინააღმდეგ მნიშვნელოვანია არა მარტო ვხედავდეთ იმ ძალებს, რომლებიც ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემოქმედნი არიან, არამედ განუწყვეტლივ ვზრდიდეთ ამ ძალებს, ვზრუნავდეთ მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის, დაუცხრომლად ვრაზმავდეთ და სრულყოფდეთ მათ წარმატებითი წინსვლის ინტერესებისათვის.

2. ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულ წარმატებებს მოჰყვა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. ეს სავსებით კანონზომიერია, სხვა შედეგი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წარმოების განვითარების მიზანია უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების განუწყვეტლივ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გადიდდა. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ, საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა. სსრ კავშირის მშრომელებს მათი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეძლევათ ნაციონალური შემოსავლის $^3/_4$, ხოლო დანარჩენი ნაწილი ხმარდება სოციალისტური წარმოების გაფართოებას და სხვა საერთოსახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის და გლეხთა რეალური შემოსავლის ზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებს მთავრობა. 1947-1952 წლების პერიოდში სახელმწიფო საცალო ფასების ხუთგზისი შემცირების შედეგად, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები ამჟამად საშუალოდ ერთიორად უფრო ნაკლებია, ვიდრე 1947 წლის IV კვარტალში.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფოს ხარჯზე იღებენ სოციალური დაზღვევის დახმარებას, სოციალური უზრუნველყოფის პენსიებს, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებების უფასო ან დიდშეღავათიან საგზურებს, ყოველწლიურად იღებენ შვებულებას ხელფასის შენახვით. ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი იღებს უფასო სამედიცინო დახმარებას. სახელმწიფო ქალაქში და სოფლად დახმარებას აძლევს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს; უზრუნველყოფს დაწყებითს და შვიდწლიან სკოლაში უფასო სწავლებას; სტიპენდიებს აძლევს მოსწავლეებს. აღნიშნული დახმარება და შეღავათი ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა 1940 წელს მიიღეს 40,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ხოლო 1951 წელს—125 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

მუშათა და მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდების, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირებისა და სახელმწიფოს ხარჯზე მოსახლეობისათვის სხვა საზღაურთა ზრდის შედეგად მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, 1951 წელს დაახლოებით 57 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს, და გლეხთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, მეტი იყო დაახლოებით 60 პროცენტით.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის გადიდება ხუთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 60 პროცენტით, მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდება, საცალო ფასების შემცირების გათვალისწინებით, სულ ცოტა 35 პროცენტით, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური (ფულადი გამოხატულებით) შემოსავლის გადიდება სულ ცოტა 40 პროცენტით.

ჩვენს ქვეყანაში დიდი საბინაო და კომუნალური მშენებლობა ხორციელდება. მარტო ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია საცხოვრებელი სახლები 155 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით, ხოლო სოფელ ადგილებში აშენდა 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი. საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია განხორციელებული იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს. მაგრამ, მიუხედავად საბინაო მშენებლობის დიდი მოცულობისა, ჩვენში ჯერ კიდევ ყველგან იგრძნობა საცხოვრებელი ფართობის მწვავე ნაკლებობა. ბევრი სამინისტრო და ადგილობრივი საბჭო წლითიწლობით არ ასრულებს საბინაო მშენებლობის მათთვის დადგენილ გეგმებს და მთლიანად ვერ იყენებს სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით გაღებულ სახსრებს. მარტო ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის გამო ქვეყანას დააკლეს 4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობის მხრივ მშრომელთა საჭიროებისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ და არ იღებენ ზომებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და შეკეთების გეგმების შესრულებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ საბინაო მშენებლობა. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებანი სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის გადიდდეს დაახლოებით ერთიორად, მეოთხე ხუთწლედთან შედარებით.

პარტია და მთავრობა მუდამ დიდ ზრუნვას იჩენდნენ და იჩენენ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ხარჯები, მათ შორის სოციალური დაზღვევის სახსრებიდან ამ მიზნებისათვის გაწეული ხარჯები, 1940 წლის 11,2 მილიარდი მანეთიდან გადიდდა 26,4 მილიარდ მანეთამდე 1951 წელს. ამ საფუძველზე მიღწეულია მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება და გაფართოება. საწოლთა რაოდენობა ქალაქებისა და სოფელ ადგილების საავადმყოფოებში 1951 წელს 30 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით. გაფართოებულია სანატორიუმების ქსელი. ექიმთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 80 პროცენტით გადიდდა.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შემცირდა სიკვდილიანობა. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოსახლეობის წმინდა მატებამ შეადგინა 9 მილიონ 500 ათასი კაცი. **(ხანგრძლივი ტაში).**

განათლების ხარჯები 1940 წლის 22,5 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 57,3 მილიარდ მანეთამდე 1951 წელს, ესე იგი 2,5-ჯერ და უფრო მეტად. მარტო ომისშემდგომ წლებში აგებულია 23.500 სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში ამჟამად შეადგენს 57 მილიონს, ანუ თითქმის 8 მილიონით მეტს, ვიდრე 1940 წელს. მნიშვნელოვნად გაფართოებულია შვიდწლიანი და ათწლიანი სწავლება; 5-10 კლასებში მოსწავლეთა რიცხვი 1940-დან 1951 წლამდე გადიდდა 25 პროცენტით. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი ამ პერიოდში გადიდდა 40 პროცენტით, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში 67 პროცენტით, მარტო 1952 წელს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 221 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის და ახლად მიიღეს მიმდინარე წელს 375 ათასი კაცი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მუშაობს დაახლოებით 5,5 მილიონი სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით, ე. ი. 2,2-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე.

ითვალისწინებს რა მეცნიერების სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, პარტია ყოველდღიურად ზრუნავს მისი განვითარებისათვის. საბჭოთა სახელმწიფომ გააჩაღა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დიდი ქსელის მშენებლობა და აღჭურვა, შექმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები მეცნიერების აყვავებისათვის, უზრუნველყო სამეცნიერო კადრების მომზადების ფართო გაქანება. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა სსრ კავშირში 1939 წლის 1.560-დან გაიზარდა 2.900-მდე 1952 წლის დამდეგისათვის. მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა ამ დროის განმავლობაში თითქმის ერთიორად გადიდდა. სახელმწიფო ხარჯები მეცნიერების განვითარებაზე 1946-1951 წლების განმავლობაში შეადგენს 47,2 მილიარდ მანეთს.

განვლილ წლებში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ყველა ტიპის 368 ათასი ბიბლიოთეკაა. 1939 წელთან შედარებით ბიბლიოთეკების რიცხვი გაიზარდა 120 ათასით და მეტით. წიგნების წლიურმა ტირაჟმა 800 მილიონ ეგზემპლარს მიაღწია და 1940 წელთან შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდა. ხმოვანი კინოდანადგარების რაოდენობა ქალაქად და სოფლად 1939 წლის შემდგომ პერიოდში თითქმის ერთისამად გადიდდა.

საბჭოთა კულტურის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს საბჭოთა ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოს განვითარებაში. ამას მკაფიოდ მოწმობს ის, რომ მრავალ ნიჭიერ მოღვაწეს ამ დარგში ყოველწლიურად ენიჭება სტალინური პრემია. სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიენიჭა ლიტერატურისა და ხელოვნების 2.339 მუშაკს.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად არ დაგვენახა დიდი ნაკლოვანებანი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. საქმე ის არის, რომ, მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, ბევრი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი არ არის. ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჯერ კიდევ იქმნება ბევრი მდარე, უფერული, ხოლო ზოგჯერ აშკარად ხალტურული ნაწარმოები, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა სინამდვილეს. საბჭოთა საზოგადოების მრავალფეროვანი და მჩქეფარე ცხოვრება ზოგიერთი მწერლისა და მხატვრის შემოქმედებაში უფერულად და მოსაწყენად არის ასახული. თავიდან აცილებული არ არის ნაკლოვანებანი ისეთი დიდმნიშვნელოვანი და პოპულარული სახის ხელოვნებაში, როგორიც არის კინო. ჩვენში იციან კარგი ფილმების გაკეთება, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ასეთი ფილმები ჯერ კიდევ მაინც ცოტა იქმნება. ჩვენს კინემატოგრაფიას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ გამოუშვას ბევრი კარგი და სხვადასხვაგვარი კინოსურათი, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ცუდად არის გამოყენებული.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა ადამიანის იდეური და კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა; პარტია საბჭოთა ადამიანის გემოვნებას ზრდის ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებზე. საბჭოთა ადამიანები ვერ ურიგდებიან უფერულობას, უიდეობას, სიყალბეს, ისინი მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი მწერლებისა და მხატვრების შემოქმედებას. ჩვენი მწერლები და მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებში უნდა ამათრახებდნენ მანკიერებას, ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს, რომლებსაც ვხვდებით საზოგადოებაში, დადებითი მხატვრული სახეებით უნდა გვიჩვენებდნენ ახალი ტიპის ადამიანებს, მათი ადამიანური ღირსების მთელ მშვენიერებას და ამით ხელს უწყობდნენ ჩვენი საზოგადოების ადამიანებში ისეთი ხასიათის, ზნეჩვეულებების დანერგვას, რომლებიც თავისუფალია კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი წყლულებისა და მანკიერებისაგან. ნამდვილად კი ჩვენს საბჭოთა ბელეტრისტიკაში, დრამატურგიაში, ისევე როგორც კინემატოგრაფიაში, დღემდე არ მოიპოვება მხატვრულ ნაწარმოებთა ისეთი სახეობა, როგორიც არის სატირა. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა მასალას სატირისათვის. ჩვენ გვესაჭიროებიან საბჭოთა გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც სატირის ცეცხლით ამოსწვავდნენ ცხოვრებაში ყოველივე უარყოფითს, დამპალს, მკვდარს, ყოველივე იმას, რაც აფერხებს წინსვლას.

ჩვენმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ გაბედულად უნდა გვიჩვენონ ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მათ უნდა ჰქონდეთ უნარი გამოიყენონ კრიტიკის იარაღი, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება. რეალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა ის არის, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის.

ჩვენს მხატვრებს, ლიტერატორებს, ხელოვნების მუშაკებს მხატვრული სახეების შესაქმნელად თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ტიპიურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ის, რაც ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს. მარქსისტულ-ლენინური გაგებით ტიპიური სრულიადაც არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. ტიპიურობა შეესაბამება მოცემული სოციალურ-ისტორიული მოვლენის არსს, და მხოლოდ იმას როდი წარმოადგენს, რაც ყველაზე გავრცელებულია, ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია. სახის შეგნებულად ჭარბი ფერებით დახატვა, გამახვილება კი არ გამორიცხავს ტიპიურობას, არამედ უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს მას. ტიპიურობა რეალისტურ ხელოვნებაში პარტიულობის გამოვლინების ძირითადი სფეროა. ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე მდგომი მაღალი და კეთილშობილი ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაავწყვიტოთ მხოლოდ მაშინ, თუ გადამწყვიტ ბრძოლას გავაჩაღებთ ხალტურის წინააღმდეგ ჩვენი მხატვრებისა და ლიტერატორების მუშაობაში, თუ ულმობლად აღმოვფხვრით სიყალბესა და სიდამპლეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახლისა და ნათელის დანერგვისათვის, დახავსებულისა და დრომოჭმულის აღმოფხვრისათვის დიად ბრძოლაში უდიდესი მოვალეობა ეკისრებათ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს. ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფიის მუშაკების ვალია უფრო ღრმად შეისწავლონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება, შექმნან ჩვენი დიადი ხალხის შესაფერისი დიდი მხატვრული ნაწარმოებნი. **(ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ზრდის საქმეში. მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით. ამოცანა ის არის, რომ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველზე უზრუნველყოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი განუხრელი აღმავლობა. ჩვენი პარტია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნებს საბჭოთა ადამიანების განუხრელად მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, ვინაიდან საბჭოთა ადამიანის სიკეთე, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია ჩვენი პარტიისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

3. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცება

პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო კვლავ იზრდებოდა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა.

გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი — წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრული თანამშრომლობა მუშების, გლეხების და ინტელიგენციისა, რომლებიც შეადგენენ საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებას.

ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც ომის გამოცდილებამ დაგვანახვა, უდიდესი სიძნელეების წინაშე მსოფლიოში ყველაზე მტკიცე, სიცოცხლისუნარიანი და მყარი წყობილება აღმოჩნდა. საბჭოთა სოციალისტური წყობილების უარყვეი ძალიერება იმით აიხსნება, რომ იგი თვითონ ხალხის მიერ შექმნილი ნამდვილი სახალხო წყობილებაა, სარგებლობს ხალხის ძლიერი მხარდაჭერით, უზრუნველყოფს ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებას.

მარქსიზმის მტრები და ვულგარიზატორები ქადაგებდნენ ჩვენი საქმისათვის უაღრესად მავნე თეორიას — კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტებისა და კვდომის თეორიას. გაანადგურა და უკუაგდო რა ეს დამპალი თეორია, პარტიამ წამოაყენა და დაასაბუთა დასკვნა, რომ ისეთ პირობებში, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, ხოლო მეტ წილ სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი ბატონობს, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანა კი არ უნდა ასუსტებდეს, არამედ ყოველი ღონისძიებით აძლიერებდეს თავის სახელმწიფოს, რომ სახელმწიფო იქნება კომუნიზმის დროსაც, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ჩვენს მშვიდობიან მშენებლობაში ის წარმატებანი, რომლებითაც ახლა ვამაყობთ, არ გვექნებოდა, ჩვენი სახელმწიფოს დასუსტება რომ დაგვეშვა. მტრების წინაშე და სამხედრო განადგურების საფრთხის წინაშე უიარაღონი აღმოჩნდებოდით, ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი არმია, დამსჯელი და მზვერავი ორგანოები რომ არ გაგვემტკიცებინა. პარტიამ საბჭოთა ქვეყანა სოციალიზმის ურყევ სიმაგრედ იმიტომ გადააქცია, რომ იგი ყოველმხრივ განამტკიცებდა და განამტკიცებს სოციალისტურ სახელმწიფოს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს ქვეყანას თავს რომ ესხმოდნენ, ფაშისტ დამპყრობლებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება შინაგანად მტკიცე არ იქნებოდა, საბჭოთა ზურგი სუსტი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ომმა გააქარწყლა ეს ვარაუდები. სავსებით დადასტურდა ამხანაგ სტალინის ისტორიული განცხადება, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ზურგი და ფრონტი მათი ერთგვარობისა და შინაგანი ერთიანობის გამო უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ომის მსვლელობაში განმტკიცდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და ზურგი. ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა და ფრონტზე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ბრძოლა ისტორიაში შევიდა, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად. ჩვენი არმია და ფლოტი შენდებოდნენ, მტკიცდებოდნენ და იბრძოდნენ ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** გენიალურმა მხედართმთავარმა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა შექმნა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, შეაიარაღა ჩვენი არმია მტრის დამარცხების ხელოვნებით. ჩვენს ხალხს უყვარს თავისი არმია და თავისი ფლოტი, გარემოსილი ჰყავს ისინი მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ჩვენი სამშობლოს უშიშროების საიმედო ბურჯი იყვნენ, არიან და იქნებიან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დიდმა სამამულო ომმა და მშვიდობიანი განვითარების შედეგომმა წლებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილი საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა, რომ საბჭოთა სახელმწიფო წყობილება მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენს. ბურჟუაზიულ ბანაკში მყოფი ბევრი ჩვენი მტერი და ავის მდომელი დაუსრულებლივ გაიძახოდა, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო მტკიცე არ არისო, იმედი ჰქონდათ სსრ კავშირის ხალხების გათიშვისა, გარდუვალ დაშლას უწინასწარმეტყველებდნენ საბჭოთა კავშირს. ისინი ჩვენი სახელმწიფოს შესახებ მსჯელობდნენ თავიანთი ბურჟუაზიული ქვეყნების მიხედვით, რომლებსაც ეროვნული წინააღმდეგობანი და განხეთქილებანი ახასიათებენ. სოციალიზმის მტრებს არ შესწევთ უნარი მიხვდნენ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის და სოციალისტური გარდაქმნების შედეგად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი დაკავშირებულია ერთმანეთთან მტკიცე მეგობრობით სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. **(ტაში).** ჩვენი პარტია, განუხრელად ახორციელებდა რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, განამტკიცებდა საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს, ავითარებდა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობასა და ურთიერთთანამშრომლობას, ყოველი ღონისძიებით უჭერდა მხარს, უზრუნველყოფდა და ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ხალხების ეროვნულ კულტურათა აყვავებას, ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას ყველა და ყოველგვარი ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელმაც ომის მძიმე განსაცდელს გაუძლო და რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ერთა ნამდვილი თანასწორობისა და მეგობრობის მაგალითი და ნიმუში გახდა, ცხადყოფს ეროვნულ საკითხში ლენინურ-სტალინური იდეების დიად გამარჯვებას. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენი პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება და კვლავაც გაუფრთხილდება სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობასა და მეგობრობას, განამტკიცებდა და კიდევაც განამტკიცებს საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს. **(მქუხარე ტაში).**

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა ოჯახში ახალი ხალხები შემოვიდნენ. შეიქმნა ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა მთელი უკრაინელი ხალხი. ბელორუსიამ ერთ ოჯახად მოუყარა თავი მთელ ბელორუს ხალხს. ჩრდილო-დასავლეთში ჩვენ გვაქვს ახალი საზღვრები, რომლებიც უფრო სამართლიანია და უფრო შეეფერება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირმა დაიბრუნა რუსეთისათვის წინათ წართმეული სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები. ახლა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები ყველაზე უფრო შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ხალხთა განვითარების ისტორიულად შექმნილ პირობებს. **(ტაში).**

მოძმე რესპუბლიკების ხალხთა დახმარებით ახალმა მოკავშირე რესპუბლიკებმა მოკლე ვადებში არა მარტო დიდად წაიწიეს წინ ინდუსტრიალიზაციის საქმეში, არამედ კიდევაც გადაიყვანეს წვრილი გლეხური მეურნეობა სოციალიზმის გზაზე, დაამთავრეს კოლექტივიზაცია და წარმატებით ავითარებენ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა და გაძლიერდა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია — სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია. სოციალისტური მშენებლობის დიდმა გაქანებამ და რაიონისათვის, ქალაქისათვის, სოფლისათვის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის შემდგომი მიახლოების ამოცანებმა აუცილებელი გახადეს შეგვეტანა მთელი რიგი ცვლილებანი ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში — შეგვექმნა ახალი ოლქები, ოკრუგები და რაიონები. სახალხო მეურნეობის ზრდამ მოითხოვა შემდგომი ცვლილებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ ფორმებში. ეს გამოიხატა

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 238, 239.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მაღენკოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოების დაწვრილერთეულებითა და ახალი ცენტრალური ორგანოების შექმნით.

ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების განუხრელ განხორციელებას, რომლებიც საფუძვლად უდევს სტალინურ კონსტიტუციას. ომისშემდგომ წლებში ორჯერ მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ეს არჩევნები მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და კვლავ ცხადყო ჩვენი ხალხის ერთიანობა, ხალხის უსაზღვრო ნდობა ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

* * *

პარტიის ამოცანები საშინაო პოლიტიკის დარგში:

1) განაგრძოს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების განუხრელი განმტკიცება, მოაწყოს და წარმართოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დიდი ამოცანების მთლიანად და დადაჭარბებით შესრულებისათვის, გეგმისა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზაზე;

2) განახორციელოს მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობა. უფრო ფართოდ დანერგოს მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, ყოველი ღონისძიებით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, განამტკიცოს დისციპლინა სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი. განუხრელად შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, რაც ყველა საქონლის საბითუმო და საცალო ფასების სისტემატური შემცირების საფუძველია;

3) განახორციელოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, რათა მოკლე ვადებში შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის. უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანის აუცილებლად შესრულება — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოვლი ღონისძიებით გადიდება, პირუტყვის სულადობის ზრდა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის ამაღლება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება. გააუმჯობესოს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. გაადიდოს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება. კიდევ უფრო განამტკიცოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, გააძლავლოს მათი სიმდიდრე და ამ საფუძველზე უზრუნველყოს კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება;

4) განახორციელოს მომჭირნეობის უმტკიცესი რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში და მმართველობის ყველა დარგში;

5) კიდევ უფრო განავითაროს მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, რათა მან პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიო მეცნიერებაში. **(ტაში).** წარმართოს მეცნიერთა ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი რესურსების გამოყენების მეცნიერულ პრობლემათა სწრაფი გადაწყვეტისაკენ. განამტკიცოს მეცნიერებისა და წარმოების შემოქმედებითი თანამშრომლობა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს თანამშრომლობა ამდიდრებს მეცნიერებას პრაქტიკის გამოცდილებით, ხოლო პრაქტიკულ მუშაკებს ეხმარება მათ წინაშე მდგომი ამოცანების უფრო სწრაფად გადაჭრაში;

6) ყოველი ღონისძიებით განავითაროს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა. უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება, განუწყვეტლივ იზრუნოს იმისათვის, რომ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე სულ უფრო მეტი იყოს შრომის ახლებურად მოწყობის დადებითი, სანიმუშო მაგალითები, მტკიცედ გაავრცელოს მომუშავეთა მთელ მასაში ეს სანიმუშო მაგალითები ისე, რომ შრომის ფრონტზე სულ უფრო და უფრო მეტად ხორციელდებოდეს ჩვენი საზოგადოების მოწინავე მშრომელთა მაგალითის მიხედვით მუშაობა;

7) კიდევ უფრო გააუმჯობესოს ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა: განუხრელად გაადიდოს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, გააუმჯობესოს მშრომელთა სანაინო პირობები; ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი გლეხთა შემოსავლის ზრდას. განავითაროს საბჭოთა კულტურა; გააუმჯობესოს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე; დაუცხრომლად იზრუნოს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის;

8) ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება. კიდევ უფრო განავითაროს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობა და პატრიოტიზმი, განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და მეგობრობა;

9) ფხიზლად ადევნოს თვალყური ომის გამჩაღებელთა ხრიკებს. ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს საბჭოთა არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და დაზვერვის ორგანოები. **(მქუხარე ტაში).**

III.

პარტია

ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განუხრელი ზრდა წარმოადგენს კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის განსახორციელებლად მისი ორგანიზატორული მუშაობის შედეგს. პარტიამ, როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანმა და ხელმძღვანელმა ძალამ, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის დროზე მომზადება აქტიური თავდაცვისათვის, ხალხის ყველა ღონისძიება წარმართა მტრის განადგურებისაკენ ომის წლებში და სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისაკენ ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, მეოთხე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულება, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, საბჭოთა კავშირის გარშემო მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მთელი ძალების დარაზმვა — ასეთია მთავარი შედეგები, რომლებიც ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს ადასტურებენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საანგარიშო პერიოდი იყო პარტიის შემდგომი განმტკიცების პერიოდი, პარტიის რიგების სრული ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცების პერიოდი. ლენინიზმის მტრებთან გაფთრებულ ბრძოლაში მოპოვებული ერთიანობა ჩვენი პარტიისა მისი შინაგანი მდგომარეობის, მისი შინაგანი ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ეს არის ჩვენი პარტიის ძალისა და უძლეველობის წყარო. **(ხანგრძლივი ტაში).**

პარტიის რიგების ერთიანობა გახდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების გადამწყვეტი პირობა. დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე განსაცდელის დღეებში, როცა წყდებოდა სამშობლოს ბედის საკითხი, ჩვენი პარტია მოქმედებდა როგორც ერთიანი საბრძოლო ორგანიზაცია, რომლისთვისაც უცხოა მერყეობა და უთანხმოება თავის საკუთარ რიგებში. ომის შედეგების მიხედვით მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგება იმ შეურიგებელი ბრძოლის მნიშვნელობა, რასაც მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენი პარტია ეწეოდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა ჯურის მტრებთან, ტროცკისტებუხარინელ მახინჯებთან, კაპიტულანტებთან და გამცემლებთან, რომლებიც ცდილობდნენ სწორი გზისათვის აეცდინათ პარტია და გაეთიშათ მისი რიგების ერთიანობა. დამტკიცებულია, რომ ეს საზიზღარი გამცემნი და მოღალატენი ელოდნენ საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმას, ვარაუდობდნენ ძნელ წუთში საბჭოთა სახელმწიფოსათვის ზურგში ჩაეცათ ლახვარი ჩვენი ხალხის მტრების საამებლად. გაანადგურა რა ტროცკისტულ-ბუხარინული ბუდე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მთელი ანტისაბჭოთა ძალების მიზიდულობის ცენტრი იყო, გაწმინდა რა ხალხის მტრებისაგან ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, პარტიამ ამით დროზე მოსპო სსრ კავშირში „მეხუთე კოლონის“ გამოჩენის ყოველგვარი შესაძლებლობა და პოლიტიკურად მოამზადა ჩვენი ქვეყანა აქტიური თავდაცვისათვის. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს რომ დროზე არ ყოფილიყო გაკეთებული, ომის დღეებში ჩვენ ჩავცვივდებოდით ისეთ ადამიანთა მდგომარეობაში, რომელთაც ცეცხლს უშენენ ფაშისტიდანაც და ზურგიდანაც, და შეიძლებოდა ომი წაგვიგო.

პარტია თავისი რიგების ურყევ დარაზმულობას უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, რომელმაც დაიცვა პარტიის ლენინური ერთიანობა. **(ყველანი ფეხზე დგებიან, მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).** პარტიული რიგების ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველი. გამოიბრძმედა რა ომის მკაცრი განსაცდელის ცეცხლში და ომისშემდგომი დროის სიძნელეებთან ბრძოლაში, პარტია ამ ყრილობაზე მოვიდა უფრო განმტკიცებული და ერთიანი, კიდევ უფრო, ვიდრე ოდესმე, დარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი პარტიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ფართო მასებთან და ნამდვილი სახალხო პარტიაა, რომლის პოლიტიკა შეეფერება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. პარტიის გარშემო მშრომელთა დარაზმვისა და კომუნიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდის საქმეში სერიოზულად გაძლიერდა ისეთი მასობრივი ორგანიზაციების როლი, როგორიც არიან საბჭოთა პროფკავშირები და კომკავშირი. ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში პარტია კიდევ უფრო შეეესისხლხორცა ხალხს და განამტკიცა თავისი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის პოლიტიკას და სრული ნდობით ეკიდება მას. **(მქუხარე ტაში).** მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას და საბჭოთა ხალხში მისი ავტორიტეტის ამაღლებას მკაფიოდ მოწმობს პარტიის რიგების ზრდა. XVIII ყრილობისათვის პარტიის რიგებში ითვლებოდა პარტიის 1.588.852 წევრი და პარტიის წევრობის 888.814 კანდიდატი, სულ კი 2.477.666 კაცი. 1952 წლის 1 ოქტომბრისათვის პარტიაშია 6.882.145 კაცი, მათ შორის პარტიის 6.013.259 წევრი და პარტიის წევრობის 868.886 კანდიდატი. **(ტაში).**

დიდი სამამულო ომის წლებში, მიუხედავად პარტიის დიდი დანაკარგისა ფრონტებზე, პარტიის რიცხობრივი შემადგენლობა არა თუ არ შემცირებულა, არამედ გადიდდა 1.600 ათასზე მეტი კაცით. პარტიაში მოვიდნენ ყველაზე მტკიცე საბჭოთა ადამიანები საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომართა რიგებიდან, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ ფრონტებზე, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთაგან, რომლებიც ზურგში თავდადებით ჰედდნენ მტერზე გამარჯვებას.

ომის დამთავრების შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა პარტიაში მიღება რამდენადმე შეენელებინა, მაგრამ მიღება მაინც გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა. პარტიას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ მისი რიგების სწრაფ ზრდას აქვს თავისი მინუსებიც, იწვევს პარტიის რიგების პოლიტიკური შეგნებულობის დონის ერთგვარ დაქვეითებას, პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობის განსაზღვრულ გაუარესებას. შეიქმნა ერთგვარი შეუფარდებლობა პარტიის რიგების რაოდენობრივ ზრდასა და პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური განათლების დონეს შორის. ამ შეუფარდებლობის აღმოფხვრისა და პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო არ დაეჩქარებინა პარტიის რიგების შემდგომი ზრდა და პარტიული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიექცია პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური დონის ამაღლების ამოცანებისათვის. ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად პარტიულმა ორგანიზაციებმა იწყეს პარტიის რიგებში მისაღებთა უფრო გულდასმით შერჩევა, გაადიდეს მოთხოვნები შემსვლელებისადმი, ფართოდ გააჩაღეს მუშაობა კომუნისტების პოლიტიკური განათლებისათვის. ამის შედეგად ჩვენ გვაქვს პარტიული რიგების პოლიტიკური დონის, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის უეჭველი ზრდა. მაგრამ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ უკვე გადაწყვეტილია პარტიის მიერ დასმული ამოცანა — ლიკვიდირებულ იქნას პარტიის რიგების ზრდისაგან კომუნისტების პოლიტიკური მომზადების დონის ჩამორჩენა. ამის გამო მომავალშიც უნდა განვაგრძოთ პარტიაში მიღების შეზღუდვის, პოლიტიკური განათლებისა და კომუნისტების პარტიული წრთობის საქმის გაუმჯობესების ხაზი, რადგან პარტია ძლიერია არა მარტო თავისი წევრების რაოდენობით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათი ხარისხით.

ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს პარტიული ორგანოების განმტკიცების, მათი საქმიანობის გაუმჯობესებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების საკითხებმა.

ომის დამთავრებასთან და მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილმა ახალმა ამოცანებმა მოითხოვეს შინაპარტიული მუშაობის სერიოზული გაუმჯობესება და საჯელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დონის ამაღლება. საქმე ის არის, რომ ომის დროის ვითარებამ განაპირობა პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების ერთგვარი თავისებურებანი, აგრეთვე წარმოშვა დიდი ნაკლოვანებანი პარტიული ორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ეს უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ პარტიულმა ორგანოებმა შეასუსტეს ყურადღება პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობისადმი, რის გამო ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ეს მუშაობა მივიწყებული აღმოჩნდა. იქმნებოდა ერთგვარი საფრთხე, რომ პარტიული ორგანოები მოსწყდებოდნენ მასებს და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოებიდან, საბრძოლო და თვითმოქმედი ორგანიზაციებიდან ისინი გადაიქცეოდნენ თავისებურ ადმინისტრაციულ-განმკარგულებელ დაწესებულებებად, რომელთაც არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ კუთხურ, ვიზროუწყებრივ და სხვა ანტისახელმწიფოებრივ მისწრაფებას და რომლებიც ვერ ამჩნევენ პარტიის პოლიტიკის პირდაპირ დამახინჯებებს სამეურნეო მშენებლობაში, სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას.

ამ საფრთხის თავიდან ასაშორებლად და ადგილობრივი პარტიული ორგანოების განმტკიცებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭირო იყო აღმოგვეფხვრა პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ჩამორჩენა და ბოლო მოგვეღო ისეთი მოვლენებისათვის, როგორიც არის ის, რომ პარტიულ ორგანიზაციებში გადაჭვთ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდები, რომლებიც იწვევენ პარტიული მუშაობის ბიუროკრატიზაციას და ასუსტებენ პარტიული მასების აქტივობასა და თვითმოქმედებას.

ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დააყენა ამოცანა თანმიმდევრულად განეხორციელებინათ შინაპარტიული დემოკრატია და გაეშალათ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ამ საფუძველზე გაეძლიერებინათ პარტიული მასების კონტროლი პარტიული ორგანოების საქმიანობისადმი, რადგან ეს არის მთელი პარტიული მუშაობის აღმავლობის, პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიის წევრების აქტივობისა და თვითმოქმედების გაძლიერების საშუალება. შინაპარტიული დემოკრატიისა და თვითკრიტიკის გასაშლელად პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა დახმარება გაუწიეს პარტიულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანწილად დაეძლიათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი, ამ ღონისძიებებმა სერიოზული როლი შეასრულეს ამ მუშაობის აღმავლობის საქმეში. ამ საფუძველზე გაიზარდა პარტიის წევრების აქტივობა და ინიციატივა, განმტკიცდნენ საწარმოთა, კოლმეურნეობათა და დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გამოცოცხლდა მათი მუშაობა, გაძლიერდა პარტიული მასების კონტროლი პარტიული ორგანოების საქმიანობისადმი, გაძლიერდა პარტიული კომიტეტების პლენუმების და პარტიული აქტივის როლი.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, პარტიის მიერ დასახული ამოცანებს. უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და შეცდომები, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ჯერ კიდევ ცოტა როდია უარყოფითი, ხოლო ზოგჯერ ავადმყოფური მოვლენები, რომლებსაც უნდა ვიცნობდეთ, ვხედავდეთ, ვაანალიზებდეთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ, დავძლიოთ ისინი და უზრუნველყოთ შემდგომი წარმატებითი წინსვლა.

როგორია ეს ნაკლოვანებანი, შეცდომები, უარყოფითი და ავადმყოფური მოვლენები და როგორია პარტიის ამოცანები ამასთან დაკავშირებით?

1) თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა ჯერ კიდევ მთლიანად და ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდი გამხდარა იმ მთავარ მეთოდად, რომლითაც უნდა ვააშკარავებდეთ და ვძლევდეთ ჩვენს შეცდომებს და ნაკლოვანებებს, ჩვენს სისუსტესა და ავადმყოფურ მოვლენებს.

პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვხვდებით პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლის შეუფასებლობას, კრიტიკისათვის დევნა-შევიწროებას. ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ მუშაკებს, რომლებიც დაუსრულებლად გაჰყვიროდნენ პარტიისადმი თავიანთ ერთგულებაზე, საქმით კი ვერ ითმენენ კრიტიკას ქვემოდან, ახშობენ მას, შურს იძიებენ გამკრიტიკებლებზე. ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა კრიტიკისა და თვითკრიტიკისადმი ბიუროკრატულ დამოკიდებულებას დიდი ზიანი მოუტანია პარტიის საქმისათვის, ჩაუკლავს პარტიული ორგანიზაციის თვითმოქმედება, შეულახავს ხელმძღვანელობის ავტორიტეტი პარტიულ მასებში და ცალკეული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დაუნერგავს ბიუროკრატების, პარტიის მოსისხლე მტრების ანტიპარტიული ჩვეულებანი.

პარტიას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს იმას, რომ იქ, სადაც კრიტიკასა და თვითკრიტიკას დევნიან, სადაც შესუსტებულია მასების კონტროლი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი, იქ აუცილებლად იჩენს თავს ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, ჩვენი აპარატის ცალკეული რგოლების ლპობა და გახრწნაც კი. რა თქმა უნდა, ასეთი მოვლენები ჩვენში ფართოდ როდია გავრცელებული. ჩვენი პარტია ისე მტკიცე და ჯანსაღია, როგორც არასოდეს არა ყოფილა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საშიში ავადმყოფური მოვლენები მნიშვნელოვნად მხოლოდ იმიტომ არ გავრცელებულან, რომ პარტია, კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღის გამოყენებით, დროზე, აშკარად და გაბედულად ავლინებდა მათ, გადაჭრით სპობდა ყოყოჩობის, ბიუროკრატიზმისა და ლპობის კონკრეტულ გამოვლინებას. ხელმძღვანელობის სიბრძნე სწორედ ის არის, რომ შეგვეძლოს ჩანასახშივე დავინახოთ საშიშროება და არ მივცეთ მას საშუალება საფრთხედ გადაიქცეს.

კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის ნაკადი იარაღია ნაკლოვანებების, შეცდომების, ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ძირს უთხრიან პარტიის ჯანსაღ ორგანიზმს. კრიტიკა და თვითკრიტიკა კი არ ასუსტებს, არამედ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას და ეს არის ამ წყობილების ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის ნიშანი.

ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უზრუნველვყოთ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლა, გავაჩაღოთ ულმობელი ბრძოლა, როგორც პარტიის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკის განვითარებას, ახშობს კრიტიკას, დევნის იმათ, ვინც კრიტიკას ეწევა. საქმე ის არის, რომ ომის ძლევამოსილად დამთავრებასა და ომისშემდგომ პერიოდში დიდ სამეურნეო წარმატებებთან დაკავშირებით პარტიის რიგებში განვითარდა პარტიული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ წარმატებებმა პარტიის რიგებში წარმოშვეს თვითკმაყოფილების, პარადული კეთილდღეობის და ობივატელური დამშვიდების განწყობილება, განცხრომისა და წარსული დამსახურებით ცხოვრების სურვილი. გაჩნდა ბევრი ისეთი მუშაკი, რომელსაც მიაჩნია, რომ „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია“, „ჩვენთვის ყველაფერი იოლი საქმეა“, რომ „საქმე კარგად მიდის“ და რაღა საჭირო ა შევიწუხოთ თავი ისეთი ნაკლებად სასიამოვნო საქმით, როგორიც არის მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოაშკარავება, როგორიც არის ბრძოლა უარყოფით და ავადმყოფურ მოვლენებთან ჩვენს ორგანიზაციებში. თავისი შედეგებით ეს მავნე განწყობილება მოედო ცუდად აღზრდილი და პარტიულობის მხრივ მერყევი კადრების ნაწილს. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად კრებებს, აქტივებს, პლენუმებსა და კონფერენციებს აქცევენ პარადად, თავისქების ადგილად, რის გამო მუშაობის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს და სისუსტეს არ ააშკარავებენ და არ აკრიტიკებენ, რაც აძლიერებს თვითკმაყოფილებისა და უდარდელობის განწყობილებას. პარტიულ ორგანიზაციებში შეაღწია უზრუნველობის განწყობილებამ. პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა და სხვა მუშაკებს შორის ვხვდებით სიფხიზლის მოდუნებას, დოყლაპიობას, პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების გამეფებვნების ფაქტებს. ზოგიერთ მუშაკს, რომელიც გატაცებულია სამეურნეო საქმეებითა და წარმატებებით, ავიწყდება, რომ ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა და რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები დაჟინებით ცდილობენ შემოგზავნონ ჩვენში თავიანთი აგენტურა, თავიანთი ბინძური მიზნებისათვის გამოიყენონ საბჭოთა საზოგადოების მერყევი ელემენტები.

ჩვენი საქმე რომ წარმატებით წავწიოთ წინ, ამისათვის გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, პარტიისა და ყველა საბჭოთა ადამიანის ყურადღება წარვმართოთ მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამისათვის კი საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან.

მუშაობის ნაკლოვანებათა და ჩვენი საზოგადოების ცხოვრების უარყოფით მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა წყობილების ნამდვილ დემოკრატიზმს და საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას. ქვემოდან კრიტიკით გამოიხატება მილიონობით მშრომელის შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, მათი ზრუნვა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება მასებში ის გრძნობა, რომ ისინი თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ქვემოდან კრიტიკა თავისთავად, თვითდინებით განვითარდეს. ქვემოდან კრიტიკა შეიძლება გაძლიერდეს და გაფართოვდეს მხოლოდ იმ პირობით, როცა ყველა, ვინც ჯანსაღ კრიტიკას ეწევა, დარწმუნებულია, რომ მხარდაჭერას ჰპოვებს ჩვენს ორგანიზაციებში, ხოლო მის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი ნამდვილად აღმოიფხვრება. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები და პარტიული მუშაკები, ყველა ჩვენი ხელმძღვანელები, სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს და გვიჩვენონ კრიტიკისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი. ყველა ხელმძღვანელი, განსაკუთრებით პარტიული მუშაკები, მოვალენი არიან ისეთი პირობები შექმნან, რომ ყველა პატიოსან საბჭოთა ადამიანს შეეძლოს გაბედულად და უშიშრად გააკრიტიკოს ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მუშაობის ნაკლოვანებანი. კრებები, აქტივები, პლენუმები, კონფერენციები ყველა ორგანიზაციაში ნამდვილად უნდა გახდეს ნაკლოვანებათა გაბედული და მწვავე კრიტიკის ფართო ტრიბუნა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა და ავადმყოფურ მოვლენათა წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლა მთელი პარტიის ყოველდღიური საქმე უნდა იყოს. კომუნისტს უფლება არა აქვს გულგრილად მოეკიდოს მუშაობის ავადმყოფურ მოვლენებსა და ნაკლოვანებებს, მით უმეტეს, დაუმალოს ისინი პარტიას. თუ რომელიმე ორგანიზაციაში საქმე ცუდად მიდის, თუ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს ზიანს აყენებენ, პარტიის წევრი მოვალეა, მიუხედავად პიროვნებისა, აცნობოს ნაკლოვანებანი ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს პარტიის თვით ცენტრალურ კომიტეტამდე. ეს თვითეული კომუნისტის ვალია, მისი უმნიშვნელოვანესი პარტიული მოვალეობაა. ჩვენში არიან ხელმძღვანელები, რომელთაც ჰგონიათ, რომ თუ მათმა ხელქვეითმა მუშაკებმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობეს ნაკლოვანებანი, ამით ეს მუშაკები ხელს უშლიან მათ ხელმძღვანელობაში და ბღალავენ მათს ავტორიტეტს. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო ასეთ მავნე და უაღრესად ანტიპარტიულ შეხედულებებს.

პარტიის ამოცანა ის არის, რომ სულ უფრო ფართოდ გაშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღმოფხვრას ყველაფერი, რაც აბრკოლებს და ხელს უშლის ამ საქმეს. რაც უფრო ფართოდ ჩავაბამთ მასებს მუშაობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც უფრო ძლიერი იქნება ყველა ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობისადმი კონტროლი ქვემოდან, მით უფრო წარმატებით წავა ჩვენი საქმე ყველა დარგში. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლოზუნგის თანმიმდევრული განხორციელება მოითხოვს გადამწყვეტ ბრძოლას ყველას წინააღმდეგ, ვინც აფერხებს მის გაჩაღებას, ვინც დევნის და ავიწროებს კრიტიკისათვის. მუშაკები, რომელნიც ხელს არ უწყობენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, აფერხებენ ჩვენს წინსვლას. ისინი არ მომწიფებულან იმისათვის, რომ ხელმძღვანელები იყვნენ და არ შეუძლიათ პარტიის ნდობის იმედი იქონიონ.

2) პარტიული, საბჭოთა. სამეურნეო და სხვა ჩვენს მუშაკთა ნაწილში ჯერ კიდევ სუსტია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

ჩვენი კადრების შემადგენლობაში ცოტა როდია ისეთი მუშაკი, რომელიც ფორმალურად ეკიდება პარტიისა

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენება

(გაგრძელება)

და მთავრობის გადაწყვეტილებებს, არ იჩენს აქტივობასა და სიმტკიცეს მათი განხორციელებისათვის ბრძოლაში, არ აწუხებს ის, რომ მათთან საქმე ცუდად მიდის და რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ზარალი მოსდის. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება, მათი შესრულებისადმი პასიური დამოკიდებულება ისეთი მანკიერებაა, რომელიც ულმობლად უნდა აღმოვფხვრათ. პარტიას სჭირდება არა დახავსებული და გულგრილი მოხელეები, რომლებიც პირად მყუდროებას საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებენ, არამედ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლები, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და ბოროტ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ ზოგიერთი მუშაკი მალავს სიმართლეს მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში საქმის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და ალამაზებს მუშაობის შედეგებს. ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ გამოამეღავნეს ისეთი ფაქტები, როდესაც ცალკეული მუშაკები ვიწროუწყებრივ და კუთხურ ინტერესებს საერთო სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისათვის ზრუნვის საბაბით უმალავდნენ სახელმწიფოს მათს განკარგულებაში არსებულ მატერიალურ რესურსებს და პარტიული და სახელმწიფო კანონების დარღვევის გზას ადგებოდნენ. ცნობილია აგრეთვე ფაქტები, როცა სამეურნეო მუშაკები პარტიული ორგანიზაციების წაყრუებით ადგენენ ნედლეულისა და მასალების აშკარად გადიდებულ განაცხადებს, საწარმოო გეგმების შეუსრულებლობის დროს მინაწერებს აკეთებენ პროდუქციის გამოშვების ანგარიშებში. ცოტა როდია ისეთი მუშაკი, რომელიც ივიწყებს, რომ მის მზრუნველობასა და ხელმძღვანელობაში მყოფი საწარმო სახელმწიფო საწარმოა, და ცდილობს გადააქციოს იგი საკუთარ სამფლობელოდ, სადაც ასეთი, უკაცრავად პასუხია, ხელმძღვანელი ყველაფერს აკეთებს, რასაც მისი „მარცხენა ფეხი მოისურვებს“. **(დარბაზში სიცილია).** დიდი ბოროტებაა ის, რომ ჩვენ ცოტა როდი გვყავს ისეთი მუშაკი, რომელიც ფიქრობს, რომ პარტიული გადაწყვეტილებანი და საბჭოთა კანონები მისთვის სავალდებულო არ არის, წარმოუდგენია, რომ ჩვენ თითქოს გვაქვს ორი დისციპლინა: ერთი—რიგითი ადამიანებისათვის, ხოლო მეორე კი — ხელმძღვანელთათვის. ასეთი „ხელმძღვანელები“ ფიქრობენ, რომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია, რომ მათ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ სახელმწიფო და პარტიულ წესებს, დაარღვიონ საბჭოთა კანონები, უწესობა და თვითნებობა ჩაიდინონ.

პარტია ყველა თავისი წევრისაგან და მით უმეტეს ხელმძღვანელი კადრებისაგან მოითხოვს გულმართლობასა და პატიოსნებას, თავისი პარტიული და სახელმწიფო მოვალეობის განუხრელ შესრულებას, და მას არ შეუძლია ნდობით მოეპყროს იმ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებას სჩადიან, ცდილობენ ითვალთმაქცონ მთავრობის წინაშე, მოატყუონ პარტია და სახელმწიფო. პარტიისა და მთავრობის ყოველგვარი მოტყუება, რა ფორმითაც უნდა გამოიხატებოდეს იგი, მოტყუების ყოველი ცდა, სიმართლის დამალვის გზით თუ მისი დამახინჯების გზით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სხვა რამედ, თუ არ უმძიმეს დანაშაულად პარტიის წინაშე. დროა შევიგნოთ, რომ ჩვენ პარტიაში ერთი დისციპლინა გვაქვს პარტიის რიგითი წევრებისთვისაც და ხელმძღვანელებისთვისაც, რომ საბჭოთა კანონები ერთნაირად სავალდებულოა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც დიდი, ისე პატარა ადამიანებისათვის. იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და რომლებიც უკანონობასა და თვითნებობას სჩადიან, არავითარი შეღავათი არ მიეცემათ მათი მდგომარეობის გამო.

ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით მოეღოს ბოლო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამოვლინებებს, დაუცხრომლად ჩაუნერგოთ ყველა ჩვენს მუშაკს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა, ულმობლად აღმოვფხვრათ არაგულმართლობა და არაკეთილსინდისიერება. შეუწყნარებელია პარტიის რიგებში ისეთი მუშაკების ყოფნა, რომლებიც ცდილობენ დაუმალონ სიმართლე პარტიას და მოატყუონ იგი. ჩვენი სამშობლოს ინტერესების განუხრელი დაცვა, აქტიური და დაუცხრომელი ბრძოლა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიისა და სახელმწიფოს თვითეული მუშაკის უპირველესი მოვალეობაა.

3) **დიდი ლენინის მითითება, იმის შესახებ, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია ადამიანთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.**

ფაქტები ცხადყოფენ, რომ ადამიანების შერჩევა და შესრულების შემოწმება ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილად მთავარი საქმე ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაობაში.

ცენტრის დირექტივებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების ცუდი ორგანიზაცია, მათი შესრულებისადმი ჯეროვანი კონტროლის უქონლობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ღრმად გამჯდარი ნაკლია საბჭოთა, სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში. ჩვენი ორგანიზაციები და დაწესებულებები უშვებენ გაცილებით მეტ სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, დირექტივებსა და ბრძანებებს, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, სრულდება თუ არა ისინი და როგორ სრულდება. საქმის არსი კი ის არის, რომ ისინი შესრულდეს არა ბიუროკრატიულად, არამედ სწორად. ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივების შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბიუროკრატიზმის ყველაზე საშიში და ბოროტი გამოვლინებაა. გამოცდილება ცხადყოფს, რომ კარგი მუშაკებიც კი, საკუთარ თავს მინდობილნი, თუ მათს საქმიანობას კონტროლს არ უწევენ და არ ამოწმებენ, ფუჭდებიან და ბიუროკრატდებიან.

პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ გააძლიეროს კონტროლი და შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში, უკლებლივ ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობაში. ამისათვის საჭიროა გაძლიერდეს ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, სერიოზულად გაუმჯობესდეს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაობა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, განმტკიცდეს იგი კადრებით იმ ვარაუდით, რომ ამ საქმეზე დაყენებულ იქნან ავტორიტეტიანი, გამოცდილი და პოლიტიკურად მახვილი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ განუხრელად დაიცვან სახელმწიფოს ინტერესები. საჭიროა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს პარტიული კონტროლის როლი, პარტიული ორგანოების მთავარი ყურადღება მიექცეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. საჭიროა, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები შესრულების შემოწმებისას თავიანთ მუშაობაში ეყრდნობოდნენ მშრომელთა ფართო მასებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივი საბჭოების აქტივს. შესრულების ზემოდან შემოწმების შეხამება პარტიული და უპარტიო მასების ნებრივ ქვემოდან შემოწმებასთან — მხოლოდ ეს უზრუნველყოფს ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ნაკლოვანებათა თავის დროზე აღმოფხვრას, შექმნის ვითარებას, რომლის დროსაც გადაწყვეტილებანი და დირექტივები შესრულდება დროზე და ზუსტად, ბოლშევიკურად.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალა კადრები, რომელთა სწორი შერჩევისა და აღზრდის გარეშე შეუძლებელია პარტიის პოლიტიკური ხაზის წარმატებით განხორციელება. კადრების შერჩევის საქმეში მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყოველნაირად გავაუმჯობესოთ მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა, განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციები პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგული ადამიანებით, რომლებმაც კარგად იციან საქმე და უნარი შესწევთ წინ წასწიონ იგი.

პარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ამოცანა მთლიანად გადაჭრილია. ახლა, როცა მეურნეობის ყველა დარგი აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, ხოლო საბჭოთა ხალხის კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა, ხელმძღვანელი კადრებისადმი მოთხოვნები სხვანაირი, უფრო მაღალი გახდა. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში ხელმძღვანელობის საჭესთან უნდა იდგნენ კულტურული, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ სიცოცხლე შეატანონ მუშაობაში, მხარი დაუჭირონ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს და შემოქმედებითად განავითარონ იგი. ამისათვის ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რადგან ამ მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და დაწინაურებისათვის ბაზა უფრო ფართო გახდა, ვიდრე წინათ.

ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის შემდგომი განმტკიცება ახლა უმთავრესად დამოკიდებულია მუშაკთა შესწავლისა და შერჩევის სწორ ორგანიზაციაზე. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, შეცდომები და დამახინჯებანი კადრებთან მუშაობაში. ნაკლოვანებანი კი ამ საქმეში ცოტა როდი გვაქვს.

ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი კადრებს არჩევს არა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნებით, არამედ შინაურულობის, ძმაბიჭობის, თანასოფლელობის ნიშნებით. ხშირად პატიოსან და საქმის მცოდნე, მაგრამ მახვილ და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელ მუშაკებს, რომლებიც ამის გამო უსიამოვნებას აყენებენ ხელმძღვანელობას, აძევებენ სხვადასხვა საბაბით და ცვლიან ისეთი ადამიანებით, რომლებსაც საეჭვო ღირებულება აქვთ ან სრულიად უვარგისი არიან საქმისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მისაღები და სასურველი არიან ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის. კადრების შერჩევასა და დაწინაურებაში პარტიის ხაზის ასეთ დამახინჯებათა შედეგად ზოგიერთ ორგანიზაციაში იქმნება თავისიანების ოჯახი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ურთიერთთავდებობით და რომლებიც ჯგუფობრივ ინტერესებს პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ასეთ ვითარებას ჩვეულებრივ მოსდევს გახრწნა და ლპობა. ასე იყო მაგალითად, ულიანოვსკის პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც სამეურნეო, საბჭოთა და პარტიული მუშაკების ნაწილი საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზედაფენიდან მორალურად გაიხრწნა, დაადგა სახელმწიფო სახსრების მითვისების, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ქურდობის გზას.

ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს დიდ ზიანს აყენებს კანცელარიული, ბიუროკრატიული მიდგომა მუშაკთა შესწავლისა და შერჩევისადმი. ხშირად მუშაკთა შერჩევა ხდება საანკეტო მონაცემებისა და ფორმალური ცნობების მიხედვით, ისე, რომ სერიოზულად არ ამოწმებენ მუშაკთა საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს. კადრების შერჩევის საქმეში დამკვიდრდა მუშაკთა დაუსწრებელი დამტკიცებისა ან დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა, ისე, რომ მათთან ცოცხალი ურთიერთობა არა აქვთ. გასაგებია, რომ კადრების შერჩევის საქმისადმი ასეთი ფორმალური, ბიუროკრატული მიდგომისას არ შეიძლება სწორად დადაიჭრას საკითხი იმის შესახებ, გამოდგება თუ არა მუშაკი იმ სამუშაოსათვის, რომელზეც ის რეკომენდებულია. მუშაკის ღირსება-ნაკლოვანებათა გამოურკვევლად შეუძლებელია განისაზღვროს, რა პოსტზე უფრო გაიშლება მისი პირადი უნარი.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ ჩვენი აპარატის ყველა რგოლში განუხრელად იცავდნენ კადრების შერჩევისა და განაწილების იმ პრინციპებს, რომლებიც ჩვენმა პარტიამ დაწესა. შეურიგებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ შინაურულობისა და ურთიერთთავდებობის წინააღმდეგ, ბოლო მოვუღოთ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას კადრების შესწავლისა და შერჩევის საქმისადმი. უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ პარტიული ორგანოების მუშაობა კადრების შესწავლისა და შერჩევის საქმეში და მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი ამ საქმის მდგომარეობისადმი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში.

ამოცანა ის არის, რომ ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება ნამდვილად მთავარი გახდეს ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ საქმიანობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ შესრულების შემოწმების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ უკანონობა, დავეხმაროთ პატიოსან მუშაკებს რჩევით, გაუსწორებელნი დავსაჯოთ და მივაღწიოთ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას, შევისწავლოთ გამოცდილება და, ამის საფუძველზე, უზრუნველვყოთ დასახული ამოცანის ყველაზე სწორი, ხელსაყრელი ეკონომიური გადაწყვეტა. არ შეიძლება შევეურიგდეთ ბიუროკრატიულ მიდგომას შესრულების შემოწმების საქმისადმი, არ უნდა გვეშინოდეს გავაუქმოთ ან გამოვასწოროთ მიღებული გადაწყვეტილება, თუ გამოირკვევა, რომ იგი მცდარი ან არაზუსტია. შესრულების შემოწმება განუყრელად დაკავშირებულია კადრების შერჩევაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ამოცანასთან, შემოწმების შედეგების შესაბამისად უნდა მოვხსნათ ცუდი, უვარგისი, ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მუშაკები და შევცვალოთ ისინი უკეთესი, ვარგისი, მოწინავე, პატიოსანი ადამიანებით; შესრულების შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი ადამიანების დაწინაურებას, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ საქმე და რომლებიც სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე დგანან.

4) ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვნად არ აფასებენ იდეოლოგიურ მუშაობას, რის გამო ეს მუშაობა ჩამორჩება პარტიის ამოცანებს, ხოლო მთელ რიგ ორგანიზაციებში უყურადღებოდ არის მიტოვებული.

იდეოლოგიური მუშაობა პარტიის პირველხარისხოვანი მოვალეობაა და ამ მუშაობის შეუფასებლობას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური იდეოლოგიის გავლენის ყოველგვარი შესუსტება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას.

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივი ბაზა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისათვის. ჩვენში გაბატონებულია სოციალისტური იდეოლოგია, რომლის ურღვევ საფუძველს მარქსიზმ-ლენინიზმი შეადგენს. მაგრამ ჩვენში კიდევ შემორჩა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, ძერძმესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები თავისთავად როდი კვდებიან, ისინი მეტად გამძლე არიან, შეუძლიათ გაიზარდონ და მათ წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. ჩვენ დაზღვეული არა ვართ აგრეთვე იმისაგან, რომ ჩვენში არ შემოაღწიოს უცხო შეხედულებებმა, იდეებმა და განწყობილებებმა გარიდან, კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრიდან, და შიგნიდან, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ჯგუფების ნაშთების მხრიდან, რომლებიც პარტიას ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მოუსპია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტრები ცდილობენ გაავრცელონ, გააღვივონ და გააჩაღონ ყოველგვარი არაჯანსაღი განწყობილებანი, იდეოლოგიურად გახრწნან ჩვენი საზოგადოების მერყეი ელემენტები.

ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია გატაცებულია მეურნეობით და ივიწყებს იდეოლოგიის საკითხებს, განზე სტოვებს მათ. ისეთ მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებშიც კი, როგორიც არის, მაგალითად, მოსკოვის ორგანიზაცია, იდეოლოგიურ მუშაობას საკმაო ყურადღება არ ექცევა. და ეს უშედეგოდ როდი რჩება. იქ, სადაც სუსტდება ყურადღება იდეოლოგიის საკითხებისადმი, იქმნება ხელსაყრელი ნიადაგი ჩვენდამი მტრულ შეხედულებათა და წარმოდგენათა გამოსაცოცხლებლად. უცხო ადამიანები, ყოველგვარი ელემენტები პარტიის მიერ განადგურებული ანტილენინური ჯგუფების ნაბოლარებიდან ცდილობენ ხელში ჩაიგდონ და თავიანთი ხაზის გასატარებლად, ყოველნაირი არამარქსისტული „თვალსაზრისებისა“ და „კონცეპციების“ ასაღორძინებლად და გასავრცელებლად გამოიყენონ იდეოლოგიური მუშაობის ის უბნები, რომლებიც რაიმე მიზეზით შეუმჩნეველი რჩებათ პარტიულ ორგანიზაციებს და რომლებშიც სუსტდება პარტიული ხელმძღვანელობა და გავლენა.

იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ჩვენი ხელმძღვანელი კადრების ერთი ნაწილი არ მუშაობს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, არ იმაღლებს ცოდნას მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში, არ იძენს პარტიის ისტორიულ გამოცდილებას. უამისოდ კი არ შეიძლება გახდე სრულფასოვანი მომზადებული ხელმძღვანელი. ვინც იდეურ-პოლიტიკურად ჩამორჩება, ვინც დაზეპირებული ფორმულებით ცხოვრობს და არ გრძნობს ახალს, მას არ ძალუძს სწორად გაერკვეს საშინაო და საგარეო ვითარებაში, არ შეუძლია და ღირსი არ არის სათავეში ედგეს მოძრაობას. მას ცხოვრება ადრე თუ გვიან გარიყავს. მხოლოდ ისეთ ხელმძღვანელს შეუძლია იდგეს ჩვენი პარტიის ამოცანების სიმაღლეზე, რომელიც მუდამ მუშაობს თავის თავზე, შემოქმედებითად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს, ინერგავს და სრულყოფს ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწის თვისებებს.

პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ პარტიის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის, ცუდად აწყობენ და სუსტ კონტროლს უწევენ მათს მუშაობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საქმეში, რის შედეგადაც ბევრ კომუნისტს არა აქვს საჭირო ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება წარმოადგენს ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

იმის გამო, რომ საკმაო ხელმძღვანელობა არ ეწევა იდეოლოგიურ მუშაობას და არ არის კონტროლი ამ მუშაობის შინაარსისადმი, ხშირად წიგნებში, გაზეთებსა და ჟურნალებში, სამეცნიერო და სხვა იდეოლოგიურ დაწესებულებათა საქმიანობაში უშვებენ სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შედეგად მეცნიერების ბევრ დარგში გამოვლინებულ იქნა საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო ზნეჩვეულებანი და ტრადიციები, გამოაშკარავებულ იქნა კასტობრივი კარჩაკეტილობის, კრიტიკისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების ფაქტები, გამომჟღავნებული და განადგურებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვადასხვანაირი გამოვლინება და ყოველგვარი ვულგარიზატორული დამახინჯება. ცნობილმა დისკუსიებმა ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე გამოავლინა სერიოზული იდეოლოგიური ხარვეზები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელი შეუწყო კრიტიკისა და აზრთა ბრძოლის გაჩაღებას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერების განვითარების საქმეში. განადგურებულია არაკრიტიკული რეჟიმი, რომელიც მეცნიერების ფრონტის ბევრ უბანზე არსებობდა. მაგრამ მეცნიერების მთელ რიგ დარგებში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი მეცნიერთა იმ ცალკე ჯგუფების მონოპოლია, რომლებიც დაწინაურების შესაძლებლობას არ აძლევენ მზარდ ახალ ძალებს, თავს იფარავენ კრიტიკისაგან და ცდილობენ ადმინისტრაციული გზით გადაჭრან მეცნიერული საკითხები. მეცნიერების ვერც ერთი დარგი წარმატებით ვერ განვითარდება ურთიერთშექებისა და შეცდომების მიჩქმალვის დახშულ ატმოსფეროში; მეცნიერთა ცალკე ჯგუფების მონოპოლიის დანერგვის ცდები გარდუვალად ჭარმოშობს უძრაობასა და ლპობას მეცნიერებაში.

პარტიის იდეოლოგიურმა მუშაობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კაპიტალიზმის ნაშთებისაგან, ძველი საზოგადოების ცრურწმენათა და მავნე ტრადიციათაგან ადამიანთა შეგნების გაწმენდაში. კვლავაც უნდა განვავითაროთ მასებში საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, მშრომელები აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის მზრუნველობის სულისკვეთებით, სრულვყოთ საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებანი — რწმენა ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი, მზადყოფნა და უნარი — გადალახონ ყოველგვარი სიძნელე.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ საბოლოოდ აღმოფხვრან იდეოლოგიური მუშაობის მავნე შეუფასებლობა, გაალიერონ ეს მუშაობა პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში, დაუცხრომლად ამხილონ მარქსიზმისათვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინება. საჭიროა განვავითაროთ და სრულვყოთ სოციალისტური კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, წარვმართოთ იდეურ-პოლიტიკური ზეგავლენის ყველა საშუალება, ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, ბეჭდვითი სიტყვა კომუნისტების იდეოლოგიური მომზადების გასაუმჯობესებლად, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის პოლიტიკური სიფხიზლისა და შეგნებულობის ასამაღლებლად. მთელი ჩვენი კადრები, უკლებლივ ყველანი, მოვალენი არიან მუშაობდნენ თავიანთი იდეოლოგიური დონის ასამაღლებლად, ეუფლებოდნენ პარტიის მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას, რათა არ ჩამორჩნენ ცხოვრებას და იდგნენ პარტიის ამოცანების სიმაღლეზე. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები მუდმივ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან მათი იდეური დონის ასამაღლებლად, ასწავლიდნენ მათ მარქსიზმ-ლენინიზმს, აყალიბებდნენ მათგან პოლიტიკურად მომზადებულ, შეგნებულ კომუნისტებს.

* * *

პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში ჩვენი ამოცანები ასეთია.

1) განვაგრძოთ პარტიის თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, არ დავუშვათ გატაცება რაოდენობით, არამედ მთელი ყურადღება მივაპყროთ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური დონის ამაღლებას და მარქსისტული წრთობის გაძლიერებას; ავამაღლოთ კომუნისტების პოლიტიკური აქტივობა, გავხადოთ პარტიის ყველა წევრი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მედგარი მებრძოლი, რომელნიც არ ურიგდებიან მუშაობის ნაკლოვანებებს და შესწევთ უნარი მტკიცედ იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის; გავაუმჯობესოთ და სრულვყოთ პროფკავშირების და კომკავშირის მუშაობა, ყოველდღიურად განვამტკიცოთ კავშირი მასებთან; გვახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა მდგომარეობს ხალხთან მის სისხლხორცეულ და განუყრელ კავშირში;

2) ბოლო მოვუღოთ ჩვენი საქმისათვის მავნე და საშიშ თვითკმაყოფილებისა და წარმატებებით დატკბობის განწყობილებას, პარტიის რიგებში პარადულობისა და უდარდელობის გამოვლინებებს, გაბედულად და მტკიცედ გამოვააშკარავოთ და აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და სისუსტე; თანმიმდევრულად განვახორციელოთ შინაპარტიული დემოკრატია, უფრო ფართოდ გავშალოთ თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, უზრუნველვყოთ, რომ ყველა პატიოსან საბჭოთა ადამიანს შეეძლოს გაბედულად და უშიშრად გააკრიტიკოს ჩვენი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის ნაკლოვანებანი; ულმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ კრიტიკის ჩახშობის, კრიტიკის გამო დევნისა და შევიწროების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ; ყველა ღონისძიებით განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, აღმოვფხვრათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური დამოკიდებულება, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ უდისციპლინობის, სახელმწიფო ინტერესების დარღვევათა წინააღმდეგ;

3) უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ კადრების სწორი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში პარტიული ორგანოების მუშაობა, მტკიცედ დავიცვათ პარტიის მიერ დაწესებული პრინციპები მუშაკების სწორი შერჩევისა, შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ამ პრინციპების დამრღვევთა წინააღმდეგ, ულმობლად ვებრძოლოთ კადრების შერჩევის საქმისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას, გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესების ერთგული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან საქმე და უნარი შესწევთ წინ წასწიონ იგი, ჩამოვიცილოთ ცუდი, უვარგისი, ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მუშაკები; ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ კონტროლი და შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში თავიდან ბოლომდე, გავაძლიეროთ ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, შესრულების ზემოდან შემოწმება შევუხამოთ ქვემოდან შემოწმებას პარტიული და უპარტიო მასების მიერ; უზრუნველვყოთ, რომ ადამიანთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება ნამდვილად გახდეს მთავარი საქმე ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელ საქმიანობაში;

4) ბოლო მოვუღოთ იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ იდეოლოგიური შეცდომებისა და დამახინჯებების მიმართ ლიბერალიზმისა და უდარდელობის წინააღმდეგ, სისტემატურად გავაუმჯობესოთ და სრულვყოთ ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება; იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალება, ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, პრესა წარვმართოთ საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საქმისათვის; უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ საბჭოთა მეცნიერება, გავაჩაღოთ კრიტიკა და აზრთა ბრძოლა მეცნიერულ მუშაობაში, გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მეცნიერებას მხოლოდ ასეთი გზით შეუძლია შეასრულოს თავისი მისია, პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიო მეცნიერებაში;

5) კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიის რიგების ლენინურ ერთიანობას, რაც ჩვენი პარტიის სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05391